

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ერთობლივი ბრძანება №92 №01-26/ნ

2016 წლის 14 ივლისი

ქ. თბილისი

**პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ოპიოიდებზე დამოკიდებული
პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების
შესახებ**

პატიმრობის კოდექსის 118-ე მუხლის 5¹ ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, ვბრძანებთ:

მუხლი 1

დამტკიცდეს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ოპიოიდებზე
დამოკიდებული პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების
თანდართული წესი.

მუხლი 2

1. პროგრამით გათვალისწინებული ჩამანაცვლებელი პრეპარატით დეტოქსიკაცია განხორციელდეს
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №2 და №8 პენიტენციურ
დაწესებულებებში.

2. პროგრამით გათვალისწინებული ხანმოკლე ჩანაცვლებითი და ხანგრძლივი ჩანაცვლებითი
შემანარჩუნებელი მკურნალობის განხორციელების დაწყებისათვის საქართველოს
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ უზრუნველყოს ყველა საჭირო ღონისძიების
გატარება 2018 წლის პირველ იანვრამდე.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა
და პრობაციის მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი
საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

თამარ ხულორდავა

ზაზა სოფრომაძე

**პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ოპიოიდებზე დამოკიდებული
პირებისთვის ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამების განხორციელების წესი**

მუხლი 1. ჩანაცვლებითი მკურნალობა და მისი სახეები

1. ჩანაცვლებითი მკურნალობა არის ნარკოტიკული დამოკიდებულების მკურნალობა ჩამანაცვლებელი
სამკურნალო საშუალების – ფარმაცევტული პროდუქტის (შემდგომში – ფარმაცევტული პროდუქტი)
გამოყენებით, რომელსაც გააჩნია ჯვარედინი დამოკიდებულება და ჯვარედინი ტოლერანტობა იმ
ნარკოტიკული ნივთიერების მიმართ, რომლისადმიც განვითარებულია დამოკიდებულების
სინდრომი.

2. ოპიოიდური დამოკიდებულება წარმოადგენს სხვადასხვა ინტენსივობის ფიზიოლოგიური, ქცევითი



და კოგნიტური ფუნქციების ერთობლიობას, რომელიც ობიექტურად ინდივიდის ინტერესის საწინააღმდეგოდ ხასიათდება ოპიოიდის მიღების მაღალი პრიორიტეტით, რაც ნარკომანიის ფორმირების ძირითად კომპონენტად გვევლინება. ოპიოიდებზე დამოკიდებულება განისაზღვრება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის „ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობის განხორციელების შესახებ“ 2014 წლის 3 ივლისის №01-41/ნ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრულ ერთ-ერთ რომელიმე ნივთიერებაზე ან მის შემადგენელ ნაწილზე დამოკიდებულებად.

3. ნარკომანიის ჩანაცვლებითი სპეციალური პროგრამით მკურნალობა ხორციელდება მეთადონის ჰიდროქლორიდით (methadone hydrochloride).

4. ჩანაცვლებითი მკურნალობის სახეებია:

ა) ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე დეტოქსიკაცია – ფარმაცევტული პროდუქტის კლებითი დოზებით მკურნალობა არაუმეტეს ერთი თვის განმავლობაში;

ბ) ფარმაცევტული პროდუქტით ხანგრძლივი დეტოქსიკაცია – პრეპარატის კლებითი დოზებით მკურნალობა ერთ თვეზე მეტი ვადის განმავლობაში;

გ) ხანმოკლე ჩანაცვლებითი მკურნალობა – ფარმაცევტული პროდუქტის სტაბილური დოზებით მკურნალობა არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში;

დ) ხანგრძლივი ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობა – ფარმაცევტული პროდუქტის სტაბილური დოზებით მკურნალობა 6 თვეზე მეტი ვადით.

მუხლი 2. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის მიზნები და ამოცანები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტროს) პენიტენციურ დაწესებულებებში (შემდგომში – დაწესებულება) ჩანაცვლებითი მკურნალობის მიზნები და ამოცანებია:

ა) ოპიოიდური დამოკიდებულებით დაავადებულ პირთა სომატური და ფსიქიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სოციალური ადაპტაცია, საზოგადოებაში რეინტეგრაცია;

ბ) აივ-ინფექცია/შიდსის, ჰეპატიტებისა და სისხლის გზით გადამდები სხვა დაავადებების გავრცელების პრევენცია;

გ) ჩანაცვლებითი მკურნალობისა და სამედიცინო-სოციალური რეაბილიტაციის გზით პაციენტებში რემისიის მდგომარეობის მიღწევა;

დ) ოპიოიდებზე დამოკიდებულ პირთა მიერ ნარკოტიკების ინექციური გზით მოხმარების შეწყვეტა/შემცირება, არალეგალური ნარკოტიკების/ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების შეწყვეტა/შემცირება და მათი ფსიქოსომატური მდგომარეობის გაუმჯობესება;

ე) ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში ჩართულ პირთა საზოგადოებრივი საშიშროების რისკის შემცირება და სამედიცინო მომსახურების უწყვეტობის შენარჩუნება.

მუხლი 3. დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა

1. დაწესებულებებში ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) დაფინანსებას უზრუნველყოფს სახელმწიფო. დაფინანსება, ასევე, შესაძლოა განხორციელდეს ადგილობრივი, საქველმოქმედო და კერძო რესურსების გამოყენებით.

2. დაწესებულებებში მოთავსებული ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის (შემდგომში – პაციენტი) პროგრამის მიწოდებას, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, უზრუნველყოფს პროგრამის მიმწოდებელი.



3. პროგრამის მიმწოდებლის მიერ კომპლექტდება პროგრამის საექიმო-საკონსულტაციო ჯგუფი (შემდგომში – ჯგუფი). ჯგუფი შედგება მინიმუმ სამი ექიმისაგან, რომელთაგან არანაკლებ ერთი ექიმი-ნარკოლოგია.

4. პაციენტის პროგრამაში ჩართვის, პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის, პროგრამის შეწყვეტისა და მკურნალობის კურსის დასრულების შესახებ გადაწყვეტილებას, ხმათა უმრავლესობით, იღებს ჯგუფი. გადაწყვეტილება მიიღება წერილობითი ფორმით და მას ხელს აწერს ჯგუფის სრული შემადგენლობა.

5. პროგრამას ხელმძღვანელობს პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პირი (შემდგომში – პროგრამის ხელმძღვანელი). პაციენტთა მკურნალობის პროცესს წარმართავს ექიმი-ნარკოლოგი.

6. პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, პროგრამის განხორციელების ადგილზე საქმიანობას ეწევა პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული სამედიცინო პერსონალი.

7. მიმწოდებლის მიერ პროგრამის ხელმძღვანელის, ჯგუფისა და სამედიცინო პერსონალის შემადგენლობა განისაზღვრება სამინისტროსთან წინასწარი შეთანხმებით.

8. დაწესებულება, პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში, უზრუნველყოფს პროგრამის მიმწოდებლის, სამედიცინო პერსონალისა და ფარმაცევტული პროდუქტის უსაფრთხოების დაცვას.

მუხლი 4. პროგრამაში პაციენტთა ჩართვის საფუძველი და კრიტერიუმები

1. პროგრამაში ჩაერთვება პაციენტი, რომელსაც აქვს ოპიოიდებზე დამოკიდებულების სინდრომის (აქტიური დამოკიდებულება) დიაგნოზი.

2. დაუშვებელია პროგრამაში 18 წლამდე პაციენტის ჩართვა, გარდა ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციისა.

3. ხანმოკლე ჩანაცვლებითი და ხანგრძლივი ჩანაცვლებითი შემანარჩუნებელი მკურნალობის პროგრამაში ჩაერთვება პაციენტი, რომელიც დაწესებულებაში მოხვედრისას სარგებლობს სამოქალაქო სექტორში არსებული ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით.

მუხლი 5. პაციენტთა პროგრამაში ჩართვის წესი

1. პაციენტის პროგრამაში ჩართვა ხორციელდება ჯგუფის გადაწყვეტილებით, ამ წესის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესაბამისად. თუ პაციენტი არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილ კრიტერიუმებს, ჯგუფი გამოიტანს გადაწყვეტილებას პაციენტის პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის შესახებ.

2. უქმე და დასვენების დღეებში პაციენტის პროგრამაში ჩართვა შეიძლება განხორციელდეს მორიგე ექიმი-ნარკოლოგის გადაწყვეტილებით, რომელიც ვალდებულია პაციენტის პროგრამაში ჩართვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ჯგუფის არანაკლებ ერთ ექიმს. მორიგე ექიმი-ნარკოლოგის გადაწყვეტილება არანაკლებ მომდევნო სამუშაო დღისა მტკიცდება ჯგუფის მიერ.

3. ჯგუფის გადაწყვეტილებასთან ერთად, პაციენტის პროგრამაში ჩასართავად საჭიროა მისი წერილობითი თანხმობა (დანართი №1). პაციენტის უარი პროგრამაში ჩართვის თაობაზე ასევე ფორმდება წერილობითი ფორმით (დანართი №1).

4. პროგრამის მიმწოდებლის მიერ მკურნალობაში ჩასართავად შერჩეულ პაციენტთა ნუსხა მიეწოდება დაწესებულების დირექტორს საორგანიზაციო და უსაფრთხოების ზომების გასათვალისწინებლად.

5. პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, პაციენტსა და პროგრამის მიმწოდებელს შორის ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება (დანართი №2) მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

მუხლი 6. ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელება



1. ფარმაცევტული პროდუქტის საწყისი დოზისა და მკურნალობის რეჟიმის განსაზღვრას ახორციელებს ექიმი-ნარკოლოგი, რაც შემდგომში მტკიცდება ჯგუფის მიერ.

2. პაციენტის პროგრამაში ჩართვის, პროგრამაში ჩართვაზე უარის თქმის, პროგრამის შეწყვეტისა და მკურნალობის კურსის დასრულების თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია, ჯგუფის ექიმის მიერ, უნდა მიეწოდოს დაწესებულების მთავარ ექიმს, ამბულატორიული პაციენტის სამედიცინო ბარათში ასახვის მიზნით.

3. პაციენტის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის მიღება დაწესებულებაში ხორციელდება ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ქვეშ, პროგრამის სამედიცინო პერსონალისა და დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით.

4. პაციენტის, სამინისტროს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში (შემდგომში – სამკურნალო დაწესებულება) ან საერთო პროფილის საავადმყოფოში (შემდგომში – სამედიცინო დაწესებულება) გადაყვანის შემთხვევაში, პროგრამის მიმწოდებელი ვალებულია, გადაყვანიდან არაუგვიანეს 24 საათისა, მიმღებ დაწესებულებას წერილობით მიაწოდოს ინფორმაცია პაციენტის პროგრამაში ჩართვის თაობაზე.

5. პროგრამაში ჩართული პაციენტის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, ჯგუფის ექიმი პაციენტის ამბულატორიულ ბარათში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს. საჭიროების შემთხვევაში, სამკურნალო დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე, ჯგუფის ექიმი სამკურნალო დაწესებულებას გადასცემს ფარმაცევტული პროდუქტის იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობის პერიოდისთვის, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 7 დღის ულუფისა. პაციენტი ფარმაცევტულ პროდუქტს იღებს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ქვეშ, სამკურნალო დაწესებულების ექიმისა და დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით. ფარმაცევტული პროდუქტის მიღებას ექიმი, დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურე და პაციენტი ხელმოწერით ადასტურებენ შესაბამის ფორმაში (დანართი №3).

6. პროგრამაში ჩართული პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შემთხვევაში, ჯგუფის ექიმი პაციენტის ამბულატორიულ ბარათში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს. საჭიროების შემთხვევაში, სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე, პროგრამის ხელმძღვანელი სამედიცინო დაწესებულებას გადასცემს ფარმაცევტული პროდუქტის იმ რაოდენობას, რომელიც აუცილებელია პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობის პერიოდისთვის, მაგრამ ერთჯერადად, არაუმეტეს 7 დღის ულუფისა. პაციენტის მიერ ფარმაცევტული პროდუქტის მიღების კონტროლს ახორციელებს სამედიცინო დაწესებულების ექიმი, რომელიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ავადმყოფობის ისტორიაში აკეთებს შესაბამის ჩანაწერს. ფარმაცევტული პროდუქტის მიღება ფიქსირდება სამედიცინო დაწესებულების ექიმის მიერ სამედიცინო დაწესებულებისთვის მიწოდებულ ფორმაში (დანართი №3), რომელსაც ხელს აწერს პაციენტიც. სამედიცინო დაწესებულებიდან გაწერის შემდეგ პაციენტი უბრუნდება პროგრამის განხორციელების ადგილს (დაწესებულებას). ფარმაცევტული პროდუქტის საჭირო რაოდენობის აღრიცხვა, შენახვა და გამოყენება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ამ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირებას, პროგრამის ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს დაწესებულების დირექტორი. მიმართვა შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით.

მუხლი 7. ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მიღების კონტროლი

1. პროფილაქტიკის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება თითოეული პაციენტის ბიოლოგიური მასალის შემთხვევითი გადამოწმება ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველობაზე.

2. საანალიზო სითხის ასაღებ ადგილზე ხორციელდება მეთვალყურეობა ელექტრონული საშუალებით.



მუხლი 8. ჩანაცვლებითი მკურნალობის კურსის დასრულება

პაციენტის მდგომარეობის გათვალისწინებით, ჯგუფი იღებს გადაწყვეტილებას ჩანაცვლებითი მკურნალობის გეგმური დასრულების შესახებ.

მუხლი 9. ჩანაცვლებითი მკურნალობის შეწყვეტა

1. ჩანაცვლებითი მკურნალობის არაგეგმური შეწყვეტის საფუძველია:

ა) პაციენტის მოთხოვნა;

ბ) პაციენტის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა, დაწესებულებიდან გათავისუფლება ან სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ობიექტურად შეუძლებელს ხდის მკურნალობის გაგრძელებას;

გ) პროგრამიდან გარიცხვა.

2. პროგრამიდან გარიცხვის კრიტერიუმებია:

ა) პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ექიმის დანიშნულების გარეშე მიღების ფაქტი;

ბ) სამედიცინო პერსონალის მიმართ არაკორექტული მოქცევა;

გ) მკურნალობის რეჟიმის უხეში დარღვევა;

დ) პაციენტის მიერ ორმხრივი ხელშეკრულების სისტემატური ან უხეში დარღვევა.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენის პირველ შემთხვევაში, პაციენტს ეძლევა გაფრთხილება მოსალოდნელი ზომების (გარიცხვის) შესახებ, რაზეც დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ექიმი და პაციენტი. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფი განიხილავს პაციენტის პროგრამიდან გარიცხვის საკითხს.

4. განსაკუთრებით უხეში დარღვევის შემთხვევაში (სამედიცინო პერსონალის მიმართ უხეში მოქცევა, ნარკოტიკული საშუალების მოპარვა, ნარკოტიკული საშუალებით ვაჭრობა და სხვ.), პაციენტი შესაძლოა გარიცხულ იქნეს პროგრამიდან პირველივე დარღვევისთანავე.

მუხლი 10. ფარმაცევტული პროდუქტის მიღების, შენახვისა და აღრიცხვის წესი

1. დაწესებულებაში ფარმაცევტული პროდუქტი ინახება სპეციალურად გამოყოფილ სამარაგო ოთახში (შემდგომში – სამარაგო), რომელიც განთავსებულია უშუალოდ ჩანაცვლებითი პროგრამის განხორციელების ადგილზე. სამარაგო წარმოადგენს უფანჯრო ოთახს, რომელსაც აქვს კაპიტალური კედლები და რკინის კარ(ებ)ი, რომელზეც დამონტაჟებულია ადგილობრივი სიგნალიზაცია და ხორციელდება 24-საათიანი მეთვალყურეობა ელექტრონული საშუალებით.

2. დაწესებულებაში პროგრამისთვის საჭირო ფარმაცევტული პროდუქტის მარაგის შეტანას, სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით, ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების საკონტროლო-გამშვებ პუნქტში, შესაბამისი თანამშრომლის მიერ მოწმდება ფარმაცევტული პროდუქტის მარაგის მიღება-ჩაბარების დოკუმენტში მითითებული ნარკოტიკული საშუალების რაოდენობა, რაც ფორმდება აქტით (დანართი №4), რომელსაც ხელს აწერს საკონტროლო-გამშვები პუნქტის თანამშრომელი და პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების ტერიტორიაზე, ფარმაცევტული პროდუქტის სამარაგომდე მიტანას პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს დაწესებულების შესაბამისი მოსამსახურის/მოსამსახურეების თანხლებით.

3. პროგრამის ხელმძღვანელს უფლება აქვს სამარაგოში შეინახოს არაუმეტეს 6 (ექვსი) თვის სავარაუდო მარაგი.

4. სამარაგოში განთავსებული ფარმაცევტული პროდუქტის მიღებაზე, შენახვაზე, აღრიცხვასა და გაცემაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროგრამის ხელმძღვანელს, რომელთანაც ინახება სამარაგოს



გასაღები და ლუქი.

5. სამარაგოში განთავსებული ფარმაცევტული პროდუქტის საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, დანართი №5-ით გათვალისწინებული ფორმის, ზონარგაყრილ, დანომრილ და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ ჟურნალში.

6. სამარაგოდან ფარმაცევტული პროდუქტის პროგრამის განხორციელების ადგილზე გაცემა წარმოებს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნას ხელს აწერს ჯგუფის ექიმი და პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ექთანი.

7. მოთხოვნა იწერება ლათინურ ენაზე, ფარმაცევტული პროდუქტის დასახელების, ფორმისა და დოზის სრული მითითებით. ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობა მიეთითება როგორც რიცხობრივად, ასევე სიტყვიერად. მოთხოვნაზე გამოიწერება მხოლოდ ერთი დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი, რომლის გაცემის შემდეგ, მოთხოვნის მეორე გვერდზე კეთდება ჩანაწერი ფაქტობრივად გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის შესახებ დასახელების, დოზის, რაოდენობისა და გაცემის თარიღის მითითებით. ჩანაწერს ხელს აწერს პროგრამის ხელმძღვანელი, ჯგუფის ექიმი და პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ექთანი.

8. მოთხოვნა გამოიწერება სამ ეგზემპლარად, აქედან ორი გადაეცემა პროგრამის მიმწოდებელს, ხოლო მესამე რჩება პროგრამის ხელმძღვანელთან და წარმოადგენს საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის საფუძველს. მოთხოვნები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

9. პროგრამის განხორციელების ადგილზე პაციენტებზე ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა ხორციელდება სპეციალურად გამოყოფილი ოთახის (შემდგომში – პუნქტი) სარკმლიდან, რომელსაც ფანჯარაზე უნდა ჰქონდეს ცხაური და აღჭურვილი იყოს ვიდეოკამერით. პაციენტს ეკრძალება პუნქტში შესვლა. ფარმაცევტული პროდუქტის გაცემა ხორციელდება პაციენტის იდენტიფიცირების შემდეგ.

10. პუნქტში ფარმაცევტული პროდუქტი მოთავსებულია ცეცხლგამძლე სეიფში, რომლის გასაღები ინახება პროგრამის ხელმძღვანელთან ან ხელმძღვანელის მიერ უფლებამოსილ პირთან. პუნქტში ნებადართულია ფარმაცევტული პროდუქტის არაუმეტეს 7 დღის სავარაუდო მარაგის შენახვა. სამუშაო საათების განმავლობაში პუნქტის დაცვას (პუნქტში შესვლის გარეშე) უზრუნველყოფენ დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის ან/და უსაფრთხოების განყოფილების შესაბამისი მოსამსახურეები. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ პროგრამის განხორციელების ადგილზე ირთვება სიგნალიზაცია.

11. ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, ფორმა, დოზა, მიღების თარიღი და დრო ფიქსირდება პაციენტის ამბულატორიულ ბარათში, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ექიმი-ნარკოლოგი და პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ექთანი.

12. პაციენტისთვის დანიშნული ფარმაცევტული პროდუქტის დოზის ყოველი ცვლილება ფიქსირდება პაციენტის ამბულატორიულ ბარათში, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ექიმი-ნარკოლოგი.

13. თუ ფარმაცევტული პროდუქტი წარმოდგენილია ხსნარის ან სიროფის სახით, ულუფის გაცემა ხორციელდება ერთჯერად ჭიქებში, რომელიც ფარმაცევტული პროდუქტის მიღების შემდეგ უბრუნდება პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრულ პუნქტის ექთანს (შემდგომში – პუნქტის ექთანი). ფარმაცევტული პროდუქტის დოზირებული ულუფის განსაზღვრა და ჩამოსხმა ხორციელდება სპეციალური საზომი ხელსაწყოთა მეშვეობით, პუნქტის ექთნის მიერ, ექიმი-ნარკოლოგის ან სხვა ექთნის თანდასწრებით. იკრძალება პაციენტისათვის მისაწოდებელი ფარმაცევტული პროდუქტის ულუფის ტარიდან ტარაში გადასხმა.

14. თუ ფარმაცევტული პროდუქტი წარმოდგენილია აბის სახით, პუნქტის ექთნის მიერ ერთჯერად ჭიქაში ხდება აბის გახსნა წყალში, რის შემდეგაც ხდება პაციენტზე ულუფის გაცემა. ერთჯერადი ჭიქა, ფარმაცევტული პროდუქტის მიღების შემდეგ უბრუნდება პუნქტის ექთანს.



15. სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, პროგრამის განხორციელების ადგილზე მომუშავე სამედიცინო პერსონალს შორის ფარმაცევტული პროდუქტის დარჩენილი ნაშთის გადაბარების წესს ადგენს პროგრამის მიმწოდებელი, ხოლო მიღება-ჩაბარება ფორმდება დანართი №6-ის შესაბამისად.

16. თუ ფარმაცევტული პროდუქტი მოთავსებულია შუშის ან პოლიეთილენის ჭურჭელში, ცარიელი ტარა ექვემდებარება უტილიზაციას შემდეგი წესით: პუნქტის ექთანი, პროგრამის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული პირების (არანაკლებ ორი პირისა) და დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსის/უფროსი ინსპექტორის თანდასწრებით, წყლის რამდენჯერმე გამოვლების გზით რეცხავს პოლიეთილენის ცარიელ ტარას, აცლის ეტიკეტს და ჭრის (შუშის ბოთლი იმსხვრევა), რაც ფორმდება შესაბამისი აქტით. ამ სახით დამუშავებული და გაუვარგისებული ტარის ნარჩენი ინახება პუნქტში და ყოველი კვირის ბოლოს ექვემდებარება პროგრამის განხორციელების ადგილიდან გატანას.

17. პროგრამაში ჩართული პაციენტის დაწესებულებიდან გათავისუფლების შემთხვევაში, თუკი მას დასრულებული არ აქვს მკურნალობა, ექიმი-ნარკოლოგი ან/და პროგრამის ხელმძღვანელი დაუყოვნებლივ აცნობებს აღნიშნულის შესახებ პროგრამის მიმწოდებელს. პაციენტის სურვილის შემთხვევაში, პროგრამის მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას სამოქალაქო სექტორში მიმდინარე ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში პაციენტის ჩართვის მიზნით.

18. სამკურნალო დაწესებულებაში ან სამედიცინო დაწესებულებაში პაციენტის მკურნალობისას ფარმაცევტული პროდუქტი გაიცემა დალუქულ მდგომარეობაში. გასაცემი ულუფის დამზადება ხდება ექიმი ნარკოლოგის მიერ, მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული ექთნის თანდასწრებით. ჭურჭელზე დაკრულ ქაღალდზე აღინიშნება ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, ფორმა, დოზა და რაოდენობა. იმ შემთხვევაში, თუ ფარმაცევტული პროდუქტი წარმოადგენს სითხეს ან სიროფს, პაციენტისათვის განკუთვნილი რაოდენობა გაიცემა დღიური დოზების შესაბამისად, დაფასოებული სახით. ლუქის ახსნა ხდება პაციენტის თანდასწრებით, უშუალოდ ფარმაცევტული პროდუქტის მიღების წინ. პროგრამის განხორციელების ადგილსა და სამკურნალო დაწესებულებას შორის ფარმაცევტული პროდუქტის მიღება-ჩაბარება ფორმდება დანართი №7-ის შესაბამისად. სამკურნალო დაწესებულება ვალდებულია კონტროლზე აიყვანოს პაციენტისათვის განკუთვნილი ფარმაცევტული პროდუქტი და ამ ბრძანებით დადგენილი წესით აწარმოოს მისი აღრიცხვა, შენახვა და გაცემა.

დანართი №1

№ ---- პენიტენციური დაწესებულება

პაციენტი -----

პირადი ნომერი -----

თანახმა ვარ/უარს ვაცხადებ, ჩავერთო საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში და აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიზნით, უფლებამოსილი პირების მიერ, დამუშავდეს ჩემი საიდენტიფიკაციო და განსაკუთრებული კატეგორიის (ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნასამართლობა, ალკვითის ღონისძიების შეფარდება) პერსონალური მონაცემები.



ხელშეკრულება №

(მისამართი)

„-----“ 20--- წ.

(თარიღი)

ერთი მხრივ, ----- მისი წარმომადგენლის ----- სახით, შემდგომში „პროგრამის მიმწოდებელი“ და, მეორე მხრივ, ბრალდებული/მსჯავრდებული ----- (პ/ნ -----) შემდგომში „პაციენტი“, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1. ოპოიდებზე დამოკიდებული პაციენტის მეთადონით ჩანაცვლებითი მკურნალობა.

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. პაციენტი ვალდებულია:

2.1.1. მიაწოდოს დაწესებულებას სრულყოფილი ინფორმაცია თავისი დაავადების შესახებ.

2.1.2. პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის თანდასწრებით გამოცხადდეს პროგრამის განხორციელების ადგილზე დანიშნულების მისაღებად.

2.1.3. პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი მოსამსახურის თანდასწრებით გამოცხადდეს პროგრამის განხორციელების ადგილზე მისთვის განსაზღვრულ დროის მონაკვეთში.

2.1.4. ფარმაცევტული პროდუქტის დანიშნული ულუფა დალიოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ქვეშ, პროგრამის სამედიცინო პერსონალისა და დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის თანდასწრებით.

2.1.5. არ მიიღოს ალკოჰოლი, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებები ექიმის დანიშნულების გარეშე.

2.1.6. ჩააბაროს ბიოლოგიური მასალა ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ანალიზისათვის, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის ქვეშ, სამედიცინო პერსონალის ყოველი მოთხოვნისას, დამატებითი ახსნა-განმარტების გარეშე.

2.1.7. ექიმის მოთხოვნისთანავე გაიაროს სრული კლინიკური შემოწმება.

2.1.8. მონაწილეობა მიიღოს სამკურნალო/სარეაბილიტაციო ღონისძიებებში, მისი სამკურნალო პროგრამის შესაბამისად.

2.1.9. დაიცვას დაწესებულების დებულება და დღის განრიგი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

2.2. პროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს პაციენტისათვის ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდება ექიმი-ნარკოლოგის მიერ დადგენილი დოზით.



2.3 პროგრამის მიწოდებელს უფლება აქვს:

2.3.1. პროგრამიდან გარიცხოს პაციენტი შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

- ა) პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის ექიმის დანიშნულების გარეშე მიღება;
- ბ) სამედიცინო პერსონალის მიმართ არაკორექტული მოქცევა;
- გ) მკურნალობის რეჟიმის უხეში დარღვევა;
- დ) პაციენტის მიერ ორმხრივი ხელშეკრულების სისტემატური ან უხეში დარღვევა.

2.3.2. პაციენტის პროგრამიდან გარიცხვის ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პაციენტს ეძლევა გაფრთხილება მოსალოდნელი ზომების (გარიცხვის) შესახებ, რაზეც დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს პროგრამის ექიმი და პაციენტი. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფი განიხილავს პაციენტის პროგრამიდან გარიცხვის საკითხს.

2.3.3. განსაკუთრებით უხეში დარღვევის შემთხვევაში (პერსონალის მიმართ უხეში მოქცევა, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის მოპარვა, ვაჭრობა და სხვ.), პაციენტი შესაძლოა გარიცხულ იქნეს პროგრამიდან პირველივე დარღვევისთანავე.

III. განსაკუთრებული პირობები

3.1. დაწესებულება აფრთხილებს პაციენტს, რომ მეთადონით:

3.1.1. ჩანაცვლებითი მკურნალობა კონფიდენციალურია, რაც იმას ნიშნავს, რომ დაწესებულება გაცემს ინფორმაციას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

3.1.2. პაციენტის მხრიდან მეთადონის მისთვის გათვალისწინებული ულუფის დაღვრის შემთხვევაში, ხელმეორე ულუფა არ გაიცემა.

დამატებითი პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -----

IV. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

4.1. ხელშეკრულება ითვლება ძალადაკარგულად 2.3.1., 2.3.2., 2.3.3. პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს პაციენტის სურვილით.

V. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია პაციენტის დაწესებულებაში მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში.



ხელმოწერა

ხელმოწერა

დანართი №3

ფარმაცევტული პროდუქტის პაციენტზე გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა

ფარმაცევტული პროდუქტის გამცემი: _____

დაწესებულების დასახელება: _____

იურიდიული მისამართი: _____

ტელ.: _____

პაციენტის გვარი, სახელი _____

პირადი ნომერი _____

სხვა შემთხვევებისას (მიეთითოს)

დაწესებულების მიერ გაცემული ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება	საზომი ერთეული	ექიმის მიერ დანიშნული დღიური დოზა	სულ გაცემული რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5

ექიმის ხელმოწერა _____

პაციენტის ხელმოწერა _____

დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მოსამსახურის ხელმოწერა _____

თარიღი: _____

ბ.ა.



დაწესებულებაში ფარმაცევტული პროდუქტის შეტანის აქტი

დაწესებულება	ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება	ფარმაცევტული პროდუქტის ოდენობა	შემოტანის თარიღი	ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობა	ფარმაცევტული პროდუქტის შემოტანი პირის გვარი, სახელი და თანამდებობა	საკონტროლო-გამშვები პუნქტის თანამშრომლის სახელი და გვარი

ფარმაცევტული პროდუქტის გამცემი პირის ხელმოწერა _____

საკონტროლო-გამშვები პუნქტის თანამშრომლის ხელმოწერა _____

საცავში და სამარაგოში განთავსებული ფარმაცევტული პროდუქტის საგნობრივ-რაოდენობრივი აღრიცხვის ჟურნალი

ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, დოზა _____

ფარმაცევტული პროდუქტის ფორმა _____

საზომი ერთეული _____

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ ი

თვე და რიცხვი	ნაშთი პირველი რიცხვისათვის	ვისგან არის მიღებული	საბუთის № და თარიღი	რაოდენობა	სერია



1	2	3	4	5	6
გ ა ს ა ვ ა ლ ი					პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა
ვისზე გაიცა	გაცემის საფუძველი (მოთხოვნის № და გაცემის თარიღი)	რაოდენობა	სერია	ნაშთი მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის	
7	8	9	10	11	12

დანართი №6

საპროცედუროში ფარმაცევტული პროდუქტის ყოველდღიური გადაზარების ჟურნალის ფორმა

თარიღი	ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	სერია	ფარმაცევტული პროდუქტი ჩავაბარე (ხელმოწერა)	ფარმაცევტული პროდუქტი მივიღე (ხელმოწერა)
1	2	3	4	5	6	7

დანართი №7



ფარმაცევტული პროდუქტის მიღება-ჩაბარების

აქტის ფორმა

ფარმაცევტული პროდუქტის გამცემი დაწესებულების დასახელება და იურიდიული მისამართი

ტელ.: _____

ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები სტაციონარული დაწესებულების დასახელება და იურიდიული მისამართი

ტელ.: _____

პაციენტის გვარი და სახელი, ვისთვისაც განკუთვნილია ფარმაცევტული პროდუქტი

№	ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება	საზომი ერთეული	სერია	გადაბარების თარიღი	რაოდენობა	ფარმაცევტული პროდუქტის ჩამბარებელი პირის გვარი, სახელი და თანამდებობა	ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები პირის გვარი, სახელი და თანამდებობა

ფარმაცევტული პროდუქტის ჩამბარებელი პირის ხელმოწერა _____

ფარმაცევტული პროდუქტის მიმღები პირის ხელმოწერა _____

შენიშვნა: აქტი ივსება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება სტაციონარში, ხოლო მეორე – ფარმაცევტული პროდუქტის გამცემ, პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებაში.

